მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

8(38)

ბიულეტენის გამოქვეყნების თარიღი
THE DATE OF PUBLICATION
2016 11 25
ბიულეტენში გამოქვეყნებულია
რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშები

ცხოველთა ახალი ჯიშების განაცხადები
NEW ANIMAL BREED
№№153-158

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შედავება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in caseif the new breeds of animals or new varieties of plants does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა
LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)
P – Indication of applications for plant varieties (Plant)

(10)	P 0000 000 A	მცენარის ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია) Number of published application for plant varieties (I publication)
(11)	P 0000 000 B	მცენარის ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია) Number of Certificate for plant varieties (II publication)
(21)	P 0000 000000	მცენარის ჯიშის განაცხადის ნომერი Serial number of application for plant varieties

A – ცხოველის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)
A – Indication of applications for animal breeds (Animal)

(10)	A 0000 000 A	ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია) Number of published application for new animal breeds (I publication)
(11)	A 0000 000 B	ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია) Number of Certificate for new animal breeds (II publication)
(21)	A 0000 000000	ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი Serial number of application for new animal breeds

შ ი ნ ა ა რ ს ი

რეგისტრირებული ცხოველთა ახალი ჯიშები

განაცხადები

- თუთის აბრეშუმხვევია „ნინა“ 4
- თუთის აბრეშუმხვევია „თბილისური-2“ 9
- თუთის აბრეშუმხვევია „ქვაციხე“ 15
- თუთის აბრეშუმხვევია „მედგარი“ 21
- თუთის აბრეშუმხვევია „ფიგურული“ 26
- თუთის აბრეშუმხვევია „ივერია-2“ 32

C O N T E N T S

REGISTERED NEW ANIMAL BREEDS

APPLICATIONS

- SILKWORM "NINA" 5
- SILKWORM "TBILISURI-2" 10
- SILKWORM "KVATSIKHE" 16
- SILKWORM "MEDGARI" 22
- SILKWORM "FIGURULI" 27
- SILKWORM "IVERIA-2" 33

რეგისტრირებული ცხოველთა ახალი ჯიშები

მოწმობის ნომერი:	P 2016 153 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 183 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 183
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 08 18
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
გიორგი ახვლედიანი
მიცკევიჩის ქ. 62, თბილისი (GE);
ვლადიმერ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ. 77, თბილისი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: ნინა

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს. ჯიში „ნინა“ მონოვოლტინური თვისებების მატარებელი ჯიშია, კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას; ზოგჯერ ბივოლტინურ თვისებებსაც ავლენს, რომელთა მართვაც საჭიროებისამებრ შესაძლებელია.

პარკის ფორმა – ცილინდრული ან ოდნავ გამოყვანილი, ძაფი – უწვრილესი, უწმინდესი, მაღალი მეტრული ნომრით. ხასიათდება: გრენის გაცოცხლების მაღალი უნარით 100%, მაღალი აბრეშუმიანობით - 27.53%, პარკის უხვი მოსავლიანობით (112.4 კგ.) და წარმოებისათვის უმთავრესი – პარკის ძაფის საწარმოო სიგრძით~ (1500-1600მ.).

REGISTERED NEW ANIMAL BREEDS

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 153 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 183 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 183
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 08 18
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:
NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
GEORGE AKHVLEDIANI
62, Mitskevich Str., Tbilisi (GE);
VLADIMER TSOMAIA
9, Antonovskaya Str., entrance IV, fl. 77, Tbilisi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: NINA

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:
Mulberry silkworm belongs to the class of full transformation insects. "Nina" is a univoltine breed, tolerating high temperature in summer. Sometimes it shows bivoltine properties and we can control these qualities as required.
Cocoon form is cylinder or slightly narrowed in the middle, thread is very fine, with high metric number. Breed is characterized with high percentage of molting 100%, high silk content (27.53%), high yields (112.4 kg) and, most important for the industry – "production length" of the thread (1500-1600 m).

ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
გიორგი ახვლედიანი
მიცკევიჩის ქ. 62, თბილისი (GE);
ვლადიმერ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ.77, თბილისი (GE)

III. ჯიშის დასახელება: ნინა

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

„ნინა“ მყარი იმუნური ჯიშია, მონოვოლტინური, კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას, საუკეთესო და სტაბილური სამეურნეო მაჩვენებლებით ხასიათდება. ამ ჯიშის დედისეული თაობაა ჯიში „იმერული-2“, რომელზედაც სელექციური მუშაობა 18 წელია მიმდინარეობს (წელიწადში 2-3 თაობის მიღებით). ამ ხნის მანძილზე მისგან გამოიკვეთა საინტერესო, განსხვავებული ხაზები, რომელიც, შემდგომ, დედისეული თაობიდან განსხვავებულ ჯიშად ჩამოყალიბდა. ეს განსხვავებულობა უპირველესად პარკის ფორმასა და პარკის ძაფის სიწმინდეში, სიგრძესა და მაღალ მეტრულ ნომერში გამოიხატება.

ახალი ჯიში „ნინა“ ძლიერ იმუნურ ჯიშად არის ჩამოყალიბებული. ხასიათდება გრენის გაცოცხლების მაღალი უნარით 99-100%, მაღალი (27.53%) აბრეშუმიანობით; პარკის უხვი (112.04 კგ.) მოსავლიანობით.

V. ტესტირების წლები

- 2005 წლის გაზაფხულზე, ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ჩატარდა ახალი ჯიშის ჰიბრიდების საწარმოო გამოკვება.
- 2006 წელს ჯიში „ნინა“-ს სამეურნეო მაჩვენებლები სხვა ახალ ჯიშებთან ერთად გამოქვეყნდა პოსტერების სახით FAO-ს რეგულარულ პროგრამაში:
  1. Black, Caspian Seas and Central Asia Silk Association (BACSA)
  2. “International Workshop on Silk Handcrafts Cottage industries and Silk Enterprises Development in Africa, Europe, Central Asia and the Near East Bursa”, Turkey 6-10 March, 2006.

VI. დაავადებებისადმი მდგრადობა

„ნინა“-ს უპირველესი უპირატესობა ამ სახეობისთვის დამახასიათებელი დაავადებების მიმართ აბსოლუტურ მდგრადობაშია, რაც განპირობებულია ჯიშის მკაცრ პირობებში გამოყვანით.

ჯიშის გამოკვება ძირითადად გარემოს პირობებში მიმდინარეობს, სრულყოფილი აერაცია, გარემოს ტემპერატურისა და ტენის დღე-ღამური მერყეობა ღია ფარდულში დადებითად მოქმედებს აბრეშუმხვევიას ფიზიოლოგიაზე. ამ დროს აბრეშუმხვევიას გენეტიკური მეხსიერება, რომელიც ამ სახეობას მოშინაურებამდე ჰქონდა, რეალიზდება, და დაავადებებისადმი, რაც თუთის აბრეშუმხვევიას მოშინაურების შემდეგ აქვს შეძენილი, სავსებით იმუნური გახადა.

VIII. სხვა ინფორმაცია

„ნინა“-ს (სხვა ახალ ჯიშებთან ერთად) სამეურნეო მაჩვენებლებს დაეყრდნო ჩარჩო პროექტის ღირებულება გაერო-ს ძალისხმევითა და დაფინანსებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი ავტორობით შემუშავებულ „მეაბრეშუმეობის პერსპექტიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა“-ში - TCP/GEO/3201 Comp 3. პროგრამა გათვლილია უმაღლესი ხარისხის სასაქონლო პროდუქციაზე (აბრეშუმის ნატურალური ქსოვილი), რასაც განაპირობებს წარმოდგენილი ახალი ჯიშის „ნინა“-ს და (სხვა ახალი ჯიშების) მაღალი სამეურნეო მახასიათებლები.

სურ. 1. „ნინა“

სურ. 2. „ნინა“

სურ. 3. „ნინა“

მოწმობის ნომერი:	P 2016 154 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 184 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 184
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 07 28
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
ჟუტიკო ასათიანი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 36, ბ. 9, თბილისი (GE);
ბექა ახვლედიანი
ასათიანის ქ. 10 ა, ბ. 6, თბილისი (GE);
თამარ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ. 77, თბილისი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: თბილისური-2

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი ჯიში „თბილისური-2“ მყარი მონოვოლტინური ჯიშია. კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას, გამოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისთვის; ძლიერ იმუნური ჯიშია, გამძლრეა ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა დაავადებისადმი: ხასიათდება გრენის გაცოცხლების მაღალი %-ით (99-100), მაღალი ხარისხის პარკით, მაღალი აბრეშუმიანობით და უხვმოსავლიანობით. თავისი სამეურნეო მაჩვენებლებით ბევრად აღემატება საწყისი ჯიშის მონაცემებს, რომელიც მას დანერგვისას ჰქონდა და მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო სტანდარტს მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნების მონაცემებთან შედარებით.

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 154 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 184 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 184
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 07 28
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
ZHUTIKO ASATIANI
36, Vazha-Pshavela av., fl. 9, Tbilisi (GE);
BEKA AKHVLEDIANI
10a, Asatiani Str., fl. 6, Tbilisi (GE);
TAMAR TSOMAIA
9, Antonovskaya Str., entrance IV, app. 77, Tbilisi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: TBILISURI-2

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:

Mulberry silkworm belongs to the class of full transformation insects. New breed "Tbilisuri-2" is a stable univoltine breed, tolerating high temperature in summer. The breed was selected specifically for Eastern Georgian Region. This is a highly immune breed to all diseases characteristic for this variety; it is characterized with high percentage of grain molting (99- 100%), high quality cocoons, high silk content and high yields. With its economic characteristics, it is much better than initial breed, as well as the world standards and those of leading silk producing countries.

ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
ჟუტიკო ასათიანი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 36, ბ. 9, თბილისი (GE);
ბექა ახვლედიანი
ასათიანის ქ. 10 ა, ბ.6, თბილისი (GE);
თამარ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ. 77, თბილისი (GE)

III. ჯიშის დასახელება: თბილისური-2

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

ჯიში „თბილისური-2“-ის საწყისს მასალად აღებულია წარმოებაში დანერგილი ჯიში, წარმოებიდან ამოღებული აბრეშუმხეხვიას ჯიშების კოლექციიდან. მას ჯიშური მახასიათებლებიდან თითქმის აღარაფერი ჰქონდა შერჩენილი გარდა სახელწოდებისა „თბილისური“.

18 წელია ვაწარმოებთ თაობებში (წელიწადში 2-3 თაობა) სამეურნეო მაჩვენებლების გაუმჯობესება-გამყარებას. ნიშანდობლივია ამ ჯიშის პარკის გარსის სიმკვრივე (როგორც „ივერია-2“-ის) დამოუკიდებლად პარკის წონისა, ყოველთვის ერთგვარია, როგორც განმეორებით გამოკვებაში, ისევე წლების მიხედვით, რაც ამ ჯიშის დიდი უპირატესობაა და როცა პარკი წარმოებისთვის იხვევა, მისი ავკარგიანობა ისაზღვრება: პარკის „ძაფის საწარმოო სიგრძით“ ანუ ძაფის სიგრძე პირველ გაწყვეტამდე (1500 მეტრი), ამოხვევისუნარიანობის მაღალი %-ით. ახალი ჯიში გამოირჩევა პარკის სიმკვრივით, სისუფთავით, სიწმინდით, რაც განაპირობებს ძაფის თანაბრობას და სიგრძეს.

V. ტესტირების წლები

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა ახალი ჯიშის „თბილისური-2“-ის სადემონსტრაციო გამოკვება. ეს ამ ჯიშზე სელექციური მუშაობის მეორე წელი (მე-4 თაობა) იყო. შედეგები – მნიშვნელოვანი ჯიშის სიჯანსაღის მხრივ იყო, მნიშვნელოვანი სხვა სამეურნეო მაჩვენებლები კი მიახლოებული საწყისი ჯიშის მონაცემებს – დანერგვისას (გამოკვების შედეგები განხილული იქნა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. 2002 წელს „თბილისური-2“-ის (სხვა ახალი ჯიშების) სამეურნეო მონაცემებზე შედგა

დარგის რეანიმაციიდან გამოყვანის ბიზნეს-გეგმა განხილული და მოწონებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

- 2005 წ. გაზაფხულზე ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ჩატარდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ახალი ჯიშების, მათ შორის, „თბილისური-2“-ის გაზაფხულის გამოკვება. საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირის დაკვეთით – აბრეშუმის პარკის დამზადების გაუმჯობესებული წესებისა და მეთოდების პოპულარიზაციისათვის – ჯიშის საწარმოო გამოცდა.
- 2006 წელს „თბილისური-2“-სა და სხვა ჩვენი ახალი ჯიშების სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ პოსტერების ტექსტი გამოქვეყნდა FAO-ს რეგულარულ პროგრამაში.

VI. სხვა ინფორმაცია

„თბილისური-2“-ის (და სხვა ახალი ჯიშების) გრენის შენახვის პირობები – ესტივაციისა და დაზამთრების პერიოდში; გრენის ინკუბაცია, აბრეშუმისხვევიას გამოკვება და ა.შ. წარმოებს ჩვენს მიერ შემუშავებული (არსებული აგროწესებისაგან რამდენადმე განსხვავებული) მეთოდებითა და ტექნოლოგიებით და მორგებულია, ახალი ეკონომიკურ სისტემაში, ფერმერული მეურნეობის ახალ მოდელთან.

VII. დაავადებებისადმი მდგრადობა

„თბილისური-2“ და სხვა ჩვენი ახალი ჯიშების უპირველესი უპირატესობა დაავადებების მიმართ წლების მანძილზე (1997-2016) აბსოლუტურ იმუნურობაშია, რაც განპირობებულია ჩვენი პრინციპით ჯიშის გამოყვანა მკაცრ პირობებში, აბრეშუმხვევიას კვება ძირითადად გარემოში მიმდინარეობს: აერაცია, გარემოს ტემპერატურისა და ტენის დღე-ღამიური მერყეობა დადებითად მოქმედებს აბრეშუმხვევიას ფიზიოლოგიაზე. ღია ფარდულში აბრეშუმხევიას გენეტიკური მეხსიერება, რომელიც მოშინაურებამდე ჰქონდა (5000 წლის წინ) რეალიზდება და დაავადებებისადმი, რომელიც ამ სახეობას მოშინაურების შემდეგ აქვს შეძენილი, სავსებით იმუნური გახადა.

VIII. ჯიშის ნიშან-თვისებები

ჯიშის უპირატესი ნიშან-თვისებაა იმუნურობა , ცხოველმყოფელობა ჯიშის ყველა სტადიაში, აბრეშუმიანობა 28.56% (საწყისი მასალის 20.7%), პარკის ფორმა – სფერული ან ოდნავ წელიანი, ძაფი „ქართული აბრეშუმის სხივით“, თითქმის ყველა უპერანგო პარკის გარსი – პრიალა. გარსის წონა, მყარი ჯიშური მახასიათებლებით (650-600მგ.).

IX. სხვა ინფორმაცია

„თბილისური-2“-ის (ასევე, ჩვენი ახალი ჯიშების) სამეურნეო მაჩვენებლებს დაეყრდნო ჩარჩო პროექტის ღირებულება გაერო-ს ძალისხმევითა და დაფინანსებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი ავტორობით შემუშავებულ მეაბრეშუმეობის პერსპექტიული განვითარების სახელმწიფო პროგრამაში TCP/GEO/3201 Comp 3. პროგრამა გათვლილია უმაღლესი ხარისხის სასაქონლო პროდუქციაზე (აბრეშუმის ქსოვილი), რასაც განაპირობებს წარმოდგენილი ახალი ჯიშის (ჯიშების) მაღალი სამეურნეო მახასიათებლები.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3. „თბილისური-2“ 2016 წ.

სურ. 4. „თბილისური-2“ 2016 წ.

მოწმობის ნომერი:	P 2016 155 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 185 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 185
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 07 28
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თამარ აბაშიძე
ყიფშიძის ქ. 3 ბ, სად. II, ბ. 42 , თბილისი (GE);
ლელა სეფერთელაძე
ფიროსმანის ქ. 9, ბ. 36, ბათუმი (GE);
ნონა ჩხაიძე
კვარაცხელიას ქ. 26, სოხუმი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: ქვაციხე

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ჯიში „ქვაციხე“ გამოყვანილია მკაცრ გარემოში, მონოვოლტინური ჯიშია, კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურას. ზაფხულის გამოკვების დროს კარგ შედეგებს ამჟღავნებს და ამ პერიოდში დამზადებული გრენა მომავალი წლისათვის მეტხანს უძლებს დაზამთრების პერიოდს.
დაავადებისადმი სტაბილურად იმუნურია, რადგან ღია გარემოში მისი ციკლური განვითარების სტიმულაცია განპირობებულია როგორც სეზონური, ისე დღე-ღამური ცვლილებებით. გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან, საწარმოო გამოცდა 2005 წელს გაიარა ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ჭიის ორსაფეხურიანი გამოკვების მეთოდით. ამ გამოკვების შედეგებს – პარკის წონა – 2.9 გრ, გარსის წონა 750 მგ. აბრეშუმიანობა 26%, მოსავალი 1 გრ., 6.5 კგ. – დღემდე, მცირე ლავირებით, ინარჩუნებს.

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 155 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 185 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 185
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 07 28
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:
NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
TAMAR ABASHIDZE
3b, Kipshidze Str., fl. 42, entrance II, Tbilisi (GE);
LELA SEPERTELADZE
9, Pirosmani Str., fl. 36, Batumi (GE);
NONA CHKHAIDZE
26, Kvaracxelia Str., Sukhumi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: KVATSIKHE

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:
"Kvatsikhe" was selected in severe environment; it is univoltine breed, well tolerating high temperature. It shows good outcomes at summer feeding and the grains stored in this period for the following year is able to stand longer "wintering" period.
The breed has stable immunity to the diseases as in the open environment, stimulation of its cyclic development is conditioned by both, seasonal and daily changes.
It is distinguished from the other breeds. Production testing was performed in 2005, at village Kvatsikhe, Chiatura District, by two-stage feeding method. Results of this testing: cocoon weight: 2.9 g, shell weight: 750 mg, silk content: 26%, yield per 1 g: 6.5 kg are maintained up to present, with small variations.



ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თამარ აბაშიძე
ყიფშიძის ქ. 3, ბ, სად. II , ბ. 42 , თბილისი (GE);
ლელა სეფერთელაძე
ფიროსმანის ქ. 9, ბ. 36, ბათუმი (GE);
ნონა ჩხაიძე
კვარაცხელიას ქ. 26, სოხუმი (GE)

III. ჯიშის დასახელება: ქვაციხე

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

2005 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ჩატარებული აბრეშუმის ჭიის საწარმოო გამოკვლევებიდან, რომლის დროსაც ახალი ჯიშების („ივერია-2“; „თბილისური-2“, „ნინა“) პირდაპირი და შებრუნებული ჰიბრიდები იცდებოდა – დიდად შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღებული (მაგ., პარკის წონა – 3.1 გრ; გარსის წონა 850-900მგ); მიღებულ შედეგებში გამოიკვეთა, აგრეთვე აღებული ჯიშებისაგან განსხვავებული, მეტად საინტერესო ხაზები – მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ სამეურნეო მახასიათებლებით.

გამოვლენილი ხაზების მშობელ ფორმებად, (საწყის მასალად) - ცდაში გაშვებული ჯიშების „დედისეული გრენა“ ჩავთვალეთ და იმავე წელს დავამზადეთ ხაზების ჰიბრიდი, როგორც ერთგვაროვან ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც მიღებულია ორი ან რამოდენიმე მეტ-ნაკლებად კონსტანტური ხაზის შეჯვარებით. მიღებულ თაობას ნიშანდებულად „ქვაციხე“ ვუწოდეთ: 11 წელია მის თაობებში წარმოებს მშობლებისაგან განსხვავებული, თავდაპირველი, მეტად საინტერესო ნიშან-თვისებების შენარჩუნება-გამყარება. ამ ჯიშის პარკს დღემდე შენარჩუნებული აქვს პარკის ფერისა და გარსის ის განსაკუთრებული გამორჩეულობა, რაც ყველა ჯიშისაგან განასხვავებს.

V. „ქვაციხის“ ჯიშური მახასიათებლები

2016 წლის (სამჯერადი) გამოკვების შედეგები:

გრენის 100%-ით „გამოცოცხლება“, ჭიის ცხოველმყოფელობა 100%. პარკის წონა 1.885-2.3 გრ, გარსის წონა 562 მგ, აბრეშუმიანობა – 29.81; ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა დაავადებისადმი, ყოველთვის შეუვალი. ფორსმაჟორულ პირობებში კლიმატისაგან თითქოს თავდაცვის მიზნით, რაც შეიძლება მკვრივი და მცირე ზომის ქვასავით გარსის მქონე პარკები ამართლებს ჯიშის სახელწოდებას.

VI. სხვა ინფორმაცია

„ქვაციხის“ სამეურნეო მაჩვენებლები, როგორც უკვე აღინიშნა მისი „საწყისი მასალის“ შესაბამისად დაბადებიდან მაღალი იყო. სელექცია ძირითადად ამ მაჩვენებლების შენარჩუნებაში და მყარ ჯიშურ მახასიათებლებად ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. 2009-2016 წლების (24 თაობის) საშუალო: აბრეშუმიანობა 28.24%, პარკის მოსავალი 104.79 კგ., რაც მიუთითებს ჯიშის მაღალ ცხოველმყოფელობასა და დაავადებისადმი იმუნურობაზე.

VII. ინფორმაცია აბრეშუმხვევიას ახალი ქართული ჯიშების ეკოლოგიის შესახებ

იმ ეკოლოგიურ ფაქტორთა შორის, რომლებიც ღრმა ფიზიოლოგიურ და ქიმიურ ცვლილებებს იწვევენ აბრეშუმის ჭიის ორგანიზმში - ჭიის ორსაფეხურიანი კოოპერაციული გამოკვებაა:

1) პირველ საფეხურზე უმცროსი (I-II-III) ასაკის ჭია იკვებება კოოპერაციული წესით (50 კოლოფომდე ერთ შენობაში), სადაც დაცულია გამოკვებისათვის (აგროწესებით დადგენილი) საჭირო ოპტიმალური პირობები.
2) მეორე საფეხურზე უფროსი (IV-V) ასაკის ჭია დაურიგდებათ ფერმერებს ხელშეკრულებით. ფერმერი, რომელიც ამიერიდან პოლიფუნქციურ დატვირთვას ასრულებს მეაბრეშუმეობის საქმით დაკავდება ორი კვირით. მსუბუქი ტიპის საჭიე (ფარდული) აგროწესებისაგან განსხვავებით აბრეშუმის ჭია უფროსს (IV-V) ასაკში ღია ფარდულში იკვებება, სადაც ძირფესვიანად იცვლება მისთვის ჩვეული მიკროკლიმატი; ტემპერატურისა და ტენის დღეღამური მერყეობა დადებითად მოქმედებს ჭიის სიჯანსაღესა და პროდუქტიულობაზე.

   მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენი, ან პირიქით და არცერთი დაავადებული ჭია, რადგან არსებობს სრული აერაცია, ისევე როგორც გარემოში.

   აბრეშუმის ჭიის გამოკვების ახალი ტექნოლოგიებით მიღებულია აბრეშუმის პარკის მოსავალის 50%-ით და ხარისხის 25%-ით გაზრდა, ხოლო ჭიის გამოკვების მთლიანი ღირებულების 50%-ით შემცირება.

3)

სურ. 1 ჯიში „ქვაციხე“ აბრეშუმის პარკი



სურ. 2 ჯიში „ქვაციხე“ გრენა

ჰაერის ტემპერატურისა და ტენის დღეღამური მერყეობა ფარდულის საჭიეში

გრაფიკი 1



მოწმობის ნომერი:	P 2016 156 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 186 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 186
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 07 28
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თეიმურაზ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ. 77, თბილისი (GE);
ნოდარ სტეფანიშვილი
სულთნიშნის ქ. 2, თბილისი (GE);
თამთა კერვალიშვილი
ზემო ფონიჭალა, კორპ. 27, ბ. 28, თბილისი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: მედგარი

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიში „მედგარი“ მყარი ჯიშური ნიშან-თვისებებით ხასიათდება, მისი სამეურნეო მახასიათებლები თაობებში მყარად მეორდება, მონო- ვოლტინური ჯიშია, მაღალ ტემპერატურას კარგად უძლებს, ჯანსაღი, მაღალპროდუქტიული ჯიშია. გამოყვანილია მკაცრ გარემოში და მისი ციკლური განვითარების სტიმულაცია განპირობებულია გარემოს, როგორც სეზონური, ისე დღე-ღამური ცვლილებებით. თუთის აბრეშუმხვევიას (Bombux mori L.) დაბრუნება გარემოში ახალი სიტყვაა ბიოლოგიაში და დიდი პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტა.

მრეწველობის მოთხოვნას ნედლეულისადმი – აბრეშუმის ბოჭკოს უმნიშვნელოვანესი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ძაფის სიგრძე, სიმსხო, სიმაგრე, ჭიმვადობა, ამოხვევის უნარიანობის მაღალი პროცენტი, ძაფის საწარმოო სიგრძე (1500 მ), მაღალი მეტრული ნომერი – აკმაყოფილებს. ბოლო 8 წლის (2009-2016წწ) მონაცემები ამ ჯიშის აბრეშუმიანობის საშუალოდ 27.69%-ია და პარკის მოსავლიანობის 98.97კგ., რაც ჯიშის იმუნურობასა და მაღალ ცხოველმყოფელობაზე მიუთითებს.

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 156 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 186 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 186
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 07 28
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
TEIMURAZ TSOMAIA
9, Antonovskaya Str, entrance IV, fl. 77,Tbilisi (GE);
NODAR STEPANISHVILI
2, Sultnishnis Str., Tbilisi (GE);
TAMTA KERVALISHVILI
Zemo Ponichala, Buildingl 27, fl. 28, Tbilisi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MEDGARI

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:

New breed "Medgari" is characterized with stable breed characteristics. Its economic characteristics steadily repeat from generation to generation. This is univoltine breed, tolerating high temperature. Sound, highly productive breed was selected in severe conditions stimulation of its cyclic development is conditioned by both, seasonal and daily changes. Returning of the silkworm ((Bombux mori L.) to the environment is an innovation in biology and provides solution of great practical significance.

The breed meets industry's all requirements to the raw material – most important physical- mechanical properties of silk fiber, thread length, thickness, strength, stretch ability, high percentage of winding, thread production length (1500 m), metric number. Data for the last 8 years (2009-2016) average silk content: 27.69%, as well as high yields – 98.97 kg shows high immunity and vitality of the breed.

ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თეიმურაზ ცომაია
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ.77, თბილისი (GE);
ნოდარ სტეფანიშვილი
სულთნიშნის ქ. 2, თბილისი (GE);
თამთა კერვალიშვილი
ზემო ფონიჭალა, კორპ. 27, ბ. 28, თბილისი (GE)

III. ჯიშის დასახელება: მედგარი

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშის „მედგარი“ დედისეული გრენა – ჩვენი ახალი ჯიშებიდან „ივერი-2“ და „თბილისური-2“-დან აღებული საწყისი მასალაა. თაობებში გამოიკვეთა ამ ჯიშებიდან განსხვავებული, საინტერესო ინდივიდები, საკუთარი მახასიათებლებით პარკის ფორმით (სფერული, მოგრძო), მკვრივი, პრიალა გარსის მქონე მყარი წონით; 12 წელია თავისუფალი შეჯვარება ხდება. ინდივიდების ხელოვნური გამორჩევით ყალიბდებოდა ეს ჯიში, რომელსაც თავიდან „თავისუფალი“ ეწოდებოდა; გამოირჩევა თავისი მყარი თვითმყოფადობით თაობებში, რაც საბოლოოდ მის სახელწოდებაშიც იკითხება ჯიში „მედგარი“ გამოყვანილია ხაზობრივი გამორჩევის გზით, რომელსაც გააჩნია მშობლის ფორმიდან განსხვავებული, სელექციონერისთვის სასურველი ნიშან–თვისებები: მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ სამეურნეო.

ხაზთა შორის ჰიბრიდები, ერთგვაროვან ინდივიდთა ჯგუფია, რომელიც მიღებულია ორი ან რამოდენიმე მეტ-ნაკლებად კონსტანტური ხაზის შეჯვარების შედეგად. (ხაზების სელექციის და სუპერ ელიტური გრენის წარმოების, აგრეთვე ჯიშთა შენარჩუნების მეთოდის დეტალები დაცულია საიდუმლოდ.

V. „მედგარის“ ჯიშური მახასიათებლები

გრენა დიდი ზომის ტაფისებურია, გრამში – 2280-2300 ცალი ჭია. ჭიის ცხოველმყოფელობა (30 თაობაში) 99-100%, პარკი – სფერული, მოგრძო, თეთრი (უთეთრესი) პრიალა მყარი წონის გარსი (თითქმის უპერანგო). იკვებება ღია გარემოში, იმუნურია – დაავადების შემთხვევა არასოდეს ყოფილა. ღია გარემოში მისი გენეტიკური იმუნიტეტის სტიმულირება ხდება.

მრეწველობის მოთხოვნას ნედლეულისადმი – (ძაფის სიგრძე, სიმსხო, სიმაგრე, ჭიმვადობა, ამოხვევის უნარიანობის 89-90%, ძაფის „საწარმოო სიგრძე“ ანუ ძაფის სიგრძე პირველ გაწყვეტამდე, რაც წარმოებისთვის უმნიშვნელობანესია – 1500 მ, ზოგჯერ უწყვეტი) – აკმაყოფილებს.
ბოლო 8 წლის (2009-2016წწ) მონაცემებით ამ ჯიშის აბრეშუმიანობა საშუალოდ 27.69%, პარკის მოსავლიანობა 98-104 კგ. ერთ კოლოფ ჭიაზე – ჯიშის იმუნურობასა და მაღალ ცხოველმყოფელობაზე მიუთითებს.

VI. დაავადებებისადმი მდგრადობა

მსუბუქი საჭიე ბინა – ღია ფარდული – დადებითად მოქმედებს ჯიშის ცხოველმყოფელობასა და პროდუქტიულობაზე. ღია გარემოში რეალიზდება აბრეშუმხვევიას გენეტიკური მეხსიერება გარემოს იმუნიტეტისადმი, რომელიც მას მოშინაურებამდე ჰქონდა და ამ სახეობისთვის დამახასიათებელი ყველა დაავადება, რომელიც მოშინაურების შემდეგ აქვს შეძენილი უცხოა მისთვის.

VIII. სხვა ინფორმაცია

„მედგარის“ სამეურნეო მაჩვენებლებს დაეყრდნო ჩარჩო – პროექტის ღირებულება, მეაბრეშუმეობის პერსპექტიული განვითარების სახელმწიფო პროგრამაში TCP/GEO/3201 Comp.3 და ბიზნესგეგმაში TCP/GEO/3101 (D), რომელიც გაერო-ს ძალისხმევითა და დაფინანსებით – სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი (გაერო-ს ეროვნული კონსულტანტი) ავტორობით შემუშავდა.

IX. მეაბრეშუმეობის დარგის არსებობის განმსაზღვრელი ინფორმაცია

მეაბრეშუმეობის სპეციფიკურმა დარგმა რომ იარსებოს, მისი განვითარების პროგრამა გათვლილი უნდა იყოს პროდუქციის უმაღლეს ხარისხზე (ჯანსაღი გრენა – უმაღლესი ხარისხის პარკი – უმაღლესი ხარისხის ძაფი – უმაღლესი ხარისხის ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი). სხვა შემთხვევაში, ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ამ დარგს არსებობა არ უწერია; ჩვენი ახალი ჯიშები თავისი სიჯანსაღითა და პროდუქტიულობით მსოფლიოს მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნების მონაცემებს ორჯერ და მეტად აჭარბებს.
ამ დარგის განვითარების საკითხში ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს როგორიცაა "FAO", "IFAD", მსოფლიო ბანკი, იაპონიის ექსიმ ბანკი და სხვა გაკეთებული აქვთ კომპეტენტური დასკვნები.

მეაბრეშუმეობის დარგი ეკონომიკის მხოლოდ აგრარულ სექტორად არ უნდა მოიაზრებოდეს, რომელიც დაბალ შემოსავლიან სექტორად ითვლება, რადგან ძირითადად არასასაქონლო მეურნეობისაგან შედგება და მისი ხვედრითი წილი დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის.
აბრეშუმხვევიას, როგორც სამედიცინო მწერის შესაძლებლობები, სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მოთხოვნილება აბრეშუმის ბოჭკოზე შეუქ-

ცევადია – ეს კი, ის სამეურნეო სივრცეა, რომელშიც იქმნება ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობები (პრინციპული საფუძვლები).

სურ. 1. „მედგარის“ პარკის ნიმუშები 2005-2016 წწ.

სურ. 2. „მედგარის“ გრენა 2016 წ.

მოწმობის ნომერი:	P 2016 157 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 187 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 187
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 07 28
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
მამუკა ახვლედიანი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
გიორგი ჩიკვილაძე
პეკინის ქ. 17, სად. III, სართ. III , ბ. 48, თბილისი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: ფიბურული

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს. ჯიში „ფიგურული“ მყარი მონოვოლტინური ჯიშია, კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას; დაავადებებს ეს ჯიში არც იცნობს (ისევე, როგორც ჩვენს მიერ წარმოდგენლი სხვა ახალი ჯიშები). პარკი ძალიან მკვრივი, წელში მკვეთრად გამოყვანილი, თეთრი პარკის საშუალო წონაა 2,43 გრ., მყარ ჯიშურ ნიშან-თვისებად ჩამოყალიბებული გარსის წონა არ არის დამოკიდებული პარკის წონაზე. გრენის გაცოცხლების აბსოლუტური პროცენტი აბრეშუმიანობის 27%-ია, ზოგჯერ – 31%-იც. გამოირჩევა პარკის უხვი (108.45კგ.) მოსავლიანობით და წარმოებისათვის უმთავრესი – „ძაფის საწარმოო სიგრძით“, რომელიც შთამბეჭდავია (1500-1600 მ.).

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 157 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 187 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 187
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 07 28
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:
NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
MAMUKA AKHVLEDIANI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilis, (GE);
GEORGE CHIKVILADZE
17, Pekini Str, fl. 48, entrance III, Tbilisi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: FIGURULI

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:
Mulberry silkworm belongs to the class of full transformation insects. Breed "Figuruli" is a stable univoltine breed, tolerating high temperature in summer; this breed does not even know any diseases (similar to other new breeds that we have presented). The cocoon is very dense, with tight waistline, bright white, with average weight of 2.43 gr, cocoon shell weight is formed as a stable breed quality not dependent on the cocoon weight. Absolute percentage of molting, high silk content (27.%), achieving sometimes even 31%, with high yields (108.45 kg) and the most important for production – impressive "productive thread length" (1500-1600 m).

ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
მამუკა ახვლედიანი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
გიორგი ჩიკვილაძე
პეკინის ქ. 7, სად. III, სართ. III, ბ. 48, თბილისი (GE)

III. ჯიშის დასახელება: ფიგურული

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

„ფიგურული“ მონოვოლტინური ჯიშია, მყარი სამეურნეო მაჩვენებლებით სახიათდება: ჯიში „იმერული-2“-ის სელექციის პერიოდში განსხვავებული ხაზები (ფორმები) გამოიკვეთა, რომელიც შემდგომ თაობებში, ინდივიდუალური გამორჩევის გზით, დედისეული თაობიდან განსხვავებულ მყარი ნიშან-თვისებების მატარებელ ჯიშად ჩამოყალიბდა. ეს განსხვავებულობა უპირველესად პარკის ფორმასა და პარკის ძაფის სიწმინდეში – სიგრძესა და ძაფის მაღალი მეტრულ ნომერში გამოიხატება. ამ გამოკვეთილი თვისებების გამო მას „სპეციფიკური“ ჯიში ვუწოდეთ. დანარჩენი სამეურნეო მახასიათებლები, როგორიცაა გრენის გაცოცხლებისა და ჭიის ცხოველმყოფელობის მაღალი პროცენტი, აბრეშუმის პარკის – მაღალი აბრეშუმიანობა და უხვი მოსავლიანობა დედისეული ჯიში „იმერული-2“-საგან შეინარჩუნა.

V. სხვა ინფორმაცია

12 წელია (30 თაობაში) მიმდინარეობს „ფიგურულის“, როგორც მშობლიდან განსხვავებული ხაზის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ინდივიდუალური გამორჩევა, გაუმჯობესება – გამყარება.

ახალი ჯიში „ფიგურული“ (აგროწესებისაგან განსხვავებით) იკვებება ღია გარემოში,სრული აერაციის, ტემპერატურისა და ტენის დღე-ღამური მერყეობის პირობებში. მაღალი ტემპერატურის დროს ჭია (ასაკის მიუხედავად) იკვებება თუთის დასველებული ფოთლით.

VI. დაავადებებისადმი მდგრადობა

ღია საჭიე ბინაში ჭიის გამოკვება – სრული აერაცია, ტემპერატურისა და ტენის დღე-ღამური მერყეობა დადებითად მოქმედებს აბრეშუმხვევიას ფიზიოლოგიაზე,

ამ დროს რეალიზდება მისი გენეტიკური მეხსიერება, რომელიც მას მოშინაურებამდე ჰქონდა და დაავადებები, რომელიც ამ სახეობას მოშინაურების შემდეგ აქვს შეძენილი ჩვენი ახალი ჯიშისათვის უცნობია.

VII. სხვა ინფორმაცია

ახალი ჯიშის „ფიგურული“ სამეურნეო მაჩვენებლებს (ჩვენს სხვა ჯიშებთან ერთად) დაეყრდნო ჩარჩო პროექტის ღირებულება გაერო-ს ძალისხმევითა და დაფინანსებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი ავტორობით შემუშავებულ მეაბრეშუმეობის პერსპექტიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა - „TCP/GEO/3201 Comp.3“-ის და სახელმწიფო პროგრამის მიკრო – მოდელი - TCP/GEO/3102 (D)-ის ბიზნეს-გეგმაში.

VIII ეძსკლუზივი BOMBYX MORI. L-ის ფიზოლოგიაში

- მომავალი წლისთვის დამზადებული ახალი ჯიშის „ფიგურულის“ გრენა ესტივაციის და მის შემდგომ პერიოდს (აგროწესებიდან განსხვავებით) ღია გარემოს პირობებში ატარებს; გრენაც კარგად უძლებს გარემოს ტემპერატურისა და ტენის დღე-ღამურ მერყეობას.
- არ ხდება „დაზამთრების“ წინ გრენის გარეცხვა და ე.წ. „გრენის სახელმწიფო კონტროლი“.
- გრენის „დაზამთრება“ მაცივარში (აგროწესებისაგან განსხვავებით) ერთი თვით გვიან ხდება, გრენაში – ჩანასახის განვითარების სხვადასხვა სტადიების დაბალი (+3, +4°C) ტემპერატურისადმი გამძლეობის მიხედვით.
- გრენის დამზადებიდან მომავალი წლის გაზაფხულამდე, ყოველ ორ კვირაში ერთხელ ხდება ნიმუშების აღება და გრენაში ჩანასახის განვითარების, მიკროსკოპიული შემოწმება.
- გრენის ინკუბირების დროს ვახდენთ, საჭიროების მიხედვით, ჯიშის ვოლტინობის რეგულირებას.
- ვერავითარი ახალი ტექნოლოგია ვერ შეედრება ადამიანის სათუთ ხელს – მეაბრეშუმეობა ისეთივე ნაზია თავისი წარმოების პროცესში, როგორც მისგან მიღებული პროდუქცია.

სურ. 1. ჯიში „ფიგურული“ ჭუპრი

სურ. 2. ჯიში „ფიგურული“ აბრეშუმის პარკი

სურ. 3. ჯიში „ფიგურული“ აბრეშუმის პარკის ნიმუშები

მოწმობის ნომერი:	P 2016 158 B
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2016 188 A
განაცხადის ნომერი:	P 2016 188
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 07 28
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2016 11 25
განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2016 09 12 №5
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2016 11 25 №8

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თამარა ლებსწვერიძე
ნუცუბიძის ქ. 2, ბ. 28, თბილისი (GE);
ხათუნა ახვლედიანი
ანტონოვსკაიას ქ. 9, სად. IV, ბ. 77, თბილისი (GE);
ნანა სოფრომაძე
მიცკევიჩის ქ. 62, თბილისი (GE)

ცხოველის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.

ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება: ივერია-2

ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს. ჯიში „ივერია-2“ ძირითადად მონოვოლტინური თვისებების მატარებელია, კარგად იტანსზაფხულის მაღალ ტემპერატურას და მყარი სამეურნეო მაჩვენებლებით ხასიათდება.

„ივერია-2“ მყარ იმუნურ ჯიშად არის ჩამოყალიბებული, ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა დაავადებისადმი გამძლეობით, რაც მეაბრეშუმეობის დარგის რენტაბელურობის უპირველესი არგუმენტია. ხასიათდება: გრენის გაცოცხლების მაღალი უნარით – 99-100%-ით; მაღალი მოსავალით – (28.57%) – აბრეშუმიანობით (საწყისი მასალის 21.5%); პარკის სიუხვით (108 კგ. საშ. 1 კოლოფი ჭიიდან) და რაც უმთავრესია პარკის ძაფის საწარმოო სიგრძით (1500 მ) ანუ პარკის ძაფის სიგრძე I გაწყვეტამდე. ყველა ამ მაჩვენებლით „ივერია-2“ მსოფლიოს მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს ორჯერ აჭარბებს, რომელიც თავის დროზე მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრმა მოგვაწოდა.

NUMBER OF CERTIFICATE:	P 2016 158 B
NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:	P 2016 188 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION:	P 2016 188
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2016 07 28
DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:	2016 11 25
DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):	2016 09 12 №5
DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):	2016 11 25 №8

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

NANA KANDELAKI
60, Ketevan Tsamebuli Str., Tbilisi (GE);
TAMARA LEBSTSVERIDZE
2, Nutsubidze Str., fl. 25, Tbilisi (GE);
KHATUNA AKHVLEDIANI
9, Antonovskaya Str., fl. 77, entrance IV, Tbilisi (GE);
NANA SOPROMADZE
62, Mitskevich Str., Tbilisi (GE)

GENERATION AND SPECIES OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Mulberry silkworm Bombyx mori. L

NAME OF ANIMAL BREEDS IN THE APPLICANT'S LANGUAGE: IVERIA -2

BRIEF DESCRIPTION OF ANIMAL BREED:

Mulberry silkworm belongs to the class of full transformation insects. The variety "Iveria-2" is basically univoltine breed, tolerating high temperature in summer; this breed has stable economic characteristics. "Iveria-2" is a stable immune breed with respect of all diseases characteristic for this variety and this is the primary argument for cost effectiveness of silk production industry. The breed is characterized with high percentage of grain molding (99-100%); high silk content (28.57%) (initial material silk content was 21.5%); high yields of cocoons (108 kg from average 1 box of silkworms) and, most importantly, the "production length" of the thread (1500 m), i.e. length of the thread before first tearing. All these characteristics of "Iveria-2" are two times higher than those of the world's leading silk producing countries (provided by the silk production oordination).

ცხოველის ჯიშის აღწერილობა

I. ცხოველი: თუთის აბრეშუმხვევია (ქართული სახელი) Bombyx mori L. (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ნანა კანდელაკი
ქეთევან წამებულის ქ. 60, თბილისი (GE);
თამარ ლებსწვერიძე
ნუცუბიძის ქ. 2, ბ.25, თბილისი (GE);
ხათუნა ახვლედიანი
ანტონოვსკაიას ქ. 9. სად. IV, ბ.77, თბილისი (GE);
ნანა სოფრომაძე
მიცკევიჩის ქ. 62, თბილისი (GE)

III. ჯიშის დასახელება: ივერია-2

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

ჯიში „ივერია-2“-ის საწყისს მასალად აღებულია წარმოებაში დანერგილი ჯიში „ივერია“. ეს ჯიში ძირითადად მონოვოლტინური თვისებების მატარებელია, კარგად იტანს ზაფხულის ტემპერატურას და გამოირჩევა მყარი სამეურნეო მაჩვენებლებით. სწორედ ეს ჯიში ავიღეთ აბრეშუმხვევიას ჯიშთა კოლექციიდან, მას ჯიშური მახასიათებლებიდან თითქმის აღარაფერი ჰქონდა შერჩენილი: 18 წელია ვაწარმოებთ ამ ჯიშის სამეურნეო მაჩვენებლების გაუმჯობესებას – გამყარებას (წლიწადში 2-3 თაობის მიღებით) თაობებში სისხლის განახლებით და ხელოვნური გამორჩევის გზით ჩვენი მუშაობის პრინციპი ჯიშის მკაცრ პირობებში გამოყვანაა.

V. ტესტირების წლები:

- 2005 წლის გაზაფხულზე, ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში გამოიკვება „ივერია-2“ (ჩვენს სხვა ჯიშებთან ერთად) – საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირის – საპილოტე პროგრამით მიღებული პარკის საშუალო წონა 2.9-3 გრამია, პარკის გარსის წონა 750-800 მგრ. (აბრეშუმხვევიას Bombyx mori. Lin-სათვის უმაღლესი შედეგებია). ჯიში „ივერია“ ამ შედეგებს თაობებში დღემდე ინარჩუნებს.
- 2006 წელს ჯიში „ივერია-2“ და სხვა ჩვენი ჯიშების სამეურნეო მაჩვენებლები პოსტერების სახით გაიგზავნა:
  1. Black, Caspian Seas and Central Asia Silk Association (BACSA)
  2. International Workshop on Silk Handcrafts Cottage industries and Silk Enterprises Development in Africa, Europe, Central Asia and the Near East Bursa, Turkey 6-10 March, 2006.

პოსტერების ტექსტი გამოქვეყნდა FAO-ს რეგულარულ პროგრამაში.

VI. სხვა ინფორმაცია

„ივერია-2“-ის აბრეშუმის ჭიის გამოკვების ახალი მეთოდებით და ტექნოლოგიებით მიღებულია უმაღლესი ხარისხის პარკის მოსავალი, მაღალი აბრეშუმიანობით, რომელიც მეაბრეშუმეობის დარგის რენტაბელობის ბიო-ეკონომიკური რესურსებია.

VII. ჯიშის ნიშან-თვისებები

„ივერია-2“ დაავადებებისადმი ძლიერ იმუნურია. ჭიის ცხოველმყოფელობა – 100%; ნედლი პარკის წონა 2.27-2.45 გრ., პარკის გარსის წონა 650-700 მგ, აბრეშუმიანობა 28.57%, პარკის მოსავალი 1 გრ ჭიიდან – 6.25 კგ., პარკის ძაფის „საწარმოს სიგრძე“ ანუ ძაფის სიგრძე პირველ გაწყვეტამდე 1500 მ. ან მთლიანად უწყვეტი.

VIII. დამატებითი ინფორმაცია

„ივერია-2“-ის სამეურნეო მაჩვენებლებს (ჩვენს სხვა ჯიშებთან ერთად) დაეყრდნო ჩარჩო პროექტის ღირებულება გაერო-ს ძალისხმევითა და დაფინანსებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი, როგორც გაერო-ს ეროვნული კონსულტანტის მიერ შემუშავებული „მეაბრეშუმეობის პერსპექტიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა – TCP/GEO/3201 Comp 3; პროგრამა გათვლილია უმაღლესი ხარისხის სასაქონლო პროდუქციაზე (აბრეშუმის ქსოვილი), რასაც განაპირობებს წარმოდგენილი ჯიშის მაღალი სამეურნეო მაჩვენებლები“.



სურ. 1. ჯიში „ივერია“ აბრეშუმის პარკი 1974 წ.



სურ. 2. ჯიში „ივერია-2“ აბრეშუმის პარკი 2010 წ.

სურ. 3. ჯიში „ივერია-2“ აბრეშუმის პარკი 2015 წ.



სურ. 4. ჯიში „ივერია-2“ გრენა

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR PROTECTION OF NEW PLANT VARIETIES AND ANIMAL BREEDS

№ 8(38)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

The review of the published E-version of the bulletin is possible at the Georgian ip national center “Sakpatenti” website.

შენიშვნა
NOTICE
ბიულეტენში გამოქვეყნებული ობიექტების ზუსტი გამოსახულებები იხილეთ საქპატენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ვერსიაში.

The exact images of the published objects can be viewed in the E-version of Sakpatenti website.

პასუხისმგებელი გამოცემაზე: RESPONSIBLE ON PUBLICATION:	ნ. ფანცხავა N. Pantskhava
მთავარი რედაქტორი: EDITOR-IN-CHIEF:	ნ. ბებრიშვილი N. Bebrishvili
დამკაბადონებელი: MAKER-UP:	ქ. სვანიძე K. Svanidze
პოლიგრაფიული ჯგუფი: POLYGRAPHIC GROUP:	მ. მეჩიტიშვილი M. Mechitishvili
	ი. გოგოლაშვილი I. Gogolashvili
	ლ. დოლიძე L. Dolidze

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2016 11 24
Signed for Publication on:
ტირაჟი: 10
Print Run:
შეკვეთა №8
Order

მის.: ანტიოქიის ქ. №5, მცხეთა, 3300, საქართველო
ტელ.: (+995 32) 225 25 33
www.sakpatenti.org.ge
info@sakpatenti.org.ge